პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

თანასწორი, ინკლუზიური და უსაფრთხო სამუშაო საქართველოში

განხორციელების ვადა: 17.12.2019 - 16.12.2021

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 200 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Women's Fund in Georgia, Women Engage for Common Future (WECF) - Georgia, Organisation "For Rights and Education", Kvemo Kartli Media

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/womenfundgeorgia, https://twitter.com/womensfundgeo, facebook.com/JobEquality/

პროექტის ვებსაიტები: womenfundgeorgia.org/en/Main

პროექტის აღწერა:

ევროკავშირი არაერთ პროექტს აფინანსებს, რომლის მიზანიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაა. ამ პროექტის მიზანია, გენდერული თანასწორობის საკითხების ხელშეწყობა ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე - სამუშაო ადგილებზე გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის, თანაბარი ანაზღაურებისთვის, უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო პირობების შესაქმნელად.
პროექტი:
- გენდერისა და ქალთა შრომითი უფლებების შესახებ ამზადებს ტრენერებსა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს
- ამზადებს სახელმძღვანელოს ქალთა შრომითი უფლებების ადვოკატირების შესახებ
- ახორციელებს საინფორმაციო კამპანიებს ინკლუზიური სოციალური და შრომითი უფლებების შესახებ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით
- გასცემს ქვე-გრანტებს ადგილობრივ ჯგუფებზე, რომლებიც ადგილობრივ დონეზე ქალთა შრომის უფლებებზე მუშაობენ.

მოსალოდნელი შედეგები:

- 15 ადგილობრივი ტრენერის მეშვეობით ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფის 120 წარმომადგენელს (ორი რეგიონიდან და თბილისიდან) (სამიზნე გფუფი1) განმტკიცებული ექნება უნარები და საშუალებები, რომ ადვოკატირება გაუწიოს დისკრიმინაციის, ქალებისა და კაცების ხელფასებს შორის სხვაობის, სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს და ხელი შეუწყოს ჯანსაღ/დაცულ სამუშაო პირობებს, თანასწორ, ინკლუზიურ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს საქართველოში.
- ადგილობრივი ჯგუფები, თავიანთი გაძლიერებული უნარებით, მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის, შრომითი და დამსაქმებელი ორგანიზაციების საქმიანობაში პროექტით გათვალისწინებული 10 შეხვედრის მეშვეობით, რომლებზეც ერთმანეთს უზიარებენ საშუალებებსა და საუკეთესო გამოცდილებას. შედეგად მივიღებთ ადგილობრივი თვითმმართველობის/შრომითი/დამსაქმებელი ორგანიზაციის 250 წარმომადგენელს, რომლებსაც შეუძლიათ გააანალიზონ, დააკვირდნენ და თავიდან აიცილონ სამუშაო ადგილზე დისკრიმინაცია/შევიწროება.
- ღია და გამჭვირვალე განაცხადის პროცედურის საშუალებით, ადგილობრივი ჯგუფები, თავიანთი გაძლიერებული უნარით, იღებენ მცირე გრანტებს, რომ განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს უფრო თანასწორი, ინკლუზიური და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას საქართველოში, კონკრეტულად კი, პროექტით გათვალისწინებულ ორ რეგიონში, აქცენტით ქალებზე, ახალგაზრდებზე, ლგბტქი თემზე, და სხვა ჯგუფებზე, რომლებიც განიცდიან ძლიერ დისკრიმინაციას
- საერთაშორისო ქსელის ორი კონფერენციის საშუალებით, გაძლიერებულია ურთიერთთანამშრომლობა ქალთა მოძრაობისა და შრომითი უფლებების მოძრაობისა გადაწყვეტილებების მიმღებ სხვა სუბიექტებთან, როგორებიცაა, მაგ.,